



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება №4

2016 წლის 1 თებერვალი



### ხაშური


#### ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წლის 7 დეკემბრის №126 განკარგულებით დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ამ ობიექტების პრივატიზება. გამომდინარე აქედან საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის “მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ № 669 დადგენილების და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ № 54 დადგენილების, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015-2016 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ №126 განკარგულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად).
2. პრივატიზაციის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №5005088515 (06.10.2015) ექსპერტიზის დასკვნით (თან ერთვის დანართი №2 თერთმეტ ფურცლად).
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა

---

1) **დასახელება:** ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

**მდებარეობა:** ხაშური, ბორჯომის ქუჩა №1 (საკადასტრო კოდი 69.08.60.279) ფართობი 424,00 მ<sup>2</sup>

**საწყისი საპრივატიზებო საფასური:** 16960 (თექვსმეტი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

**აუქციონის ფორმა:** უპირობო ელექტრონული აუქციონი.

**აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი:** 30 კალენდარული დღე.

**შენიშვნა:** მიწის ნაკვეთში მდებარეობს საშუალო წნევის გაზსადენი მილი. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

2) **დასახელება:** ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

**მდებარეობა:** ხაშური, სტალინის ქუჩა, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი 69.08.60.028) ფართობი 1109,00 მ<sup>2</sup>

**საწყისი საპრივატიზებო საფასური:** 44360 (ორმოცდაოთხი ათას სამას სამოცი) ლარი.

**აუქციონის ფორმა:** უპირობო ელექტრონული აუქციონი.

**აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი:** 30 კალენდარული დღე.

**შენიშვნა:** საჭიროების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

3) **დასახელება:** ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

**მდებარეობა:** ხაშური, ბორჯომის ქუჩა №1 (საკადასტრო კოდი 69.08.60.280) ფართობი 1462,00 მ<sup>2</sup>

**საწყისი საპრივატიზებო საფასური:** 58480 (ორმოცდათვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი.

**აუქციონის ფორმა:** პირობიანი ელექტრონული აუქციონი. გამომდინარე იქიდან, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს აგრარული ბაზრის მიმდებარედ და ინტენსიური მოძრაობის გამო დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად წარმოადგენს მოუწესრიგებელ ავტოსადგომს შემსყიდველს ეკისრება თანამედროვე ავტოსადგომის მოწყობის ვალდებულება, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნას არანაკლებ 75% მიწის ნაკვეთისა. ამასთანავე გამარჯვებულმა უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არა უმეტეს 2 (ორი) თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ავტოსადგომის პროექტი შესათანხმებლად.

- ბ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არა უმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში შესყიდულ მიწის ნაკვეთზე უნდა განახორციელოს ავტოსადგომის მშენებლობა, რომელის ფუნქციონირებაც უნდა გაგრძელდეს არანაკლებ 3 წლისა.
- გ) საჭიროების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

**აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი: 30 კალენდარული დღე.**